

ეფემია მესხი

„ადამიანის მხედველობას, გონებას და გრძნობას მუდამ იტაცებს ბუნების სიმშვენიერე, გენიოსების ძველი და ახალი უკვდავი ქმნილებები. ისინი აღვიძებენ ადამიანის გულში პატიოსნების, სიფაქიზის და სიყვარულის საუკეთესო გრძნობებს.“

ე. მესხის ნერილი კ. მარჯანიშვილის დრამატული თეატრისადმი

ეფემია მესხი 1862 წლის 11 ივლისს ქუთაისში დაიბადა. იგი ყველასთვის კარგად ცნობილი და საყვარელი, განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით გამორჩეული ქართველი მსახიობი გახლდათ.

მამის – სიმონ მესხისა და დედის – მაგდანა მარჯანიშვილის 13 შვილიან ოჯახში ეფემია მეათე იყო. ჯერ კიდევ ეფემიას დაბადებამდე, მამამ შვილებისთვის განათლების მისაღებად ოჯახი სოფელ რიონიდან საცხოვრებლად ქუთაისში გადაიყვანა.

ეფემიას ბავშვობიდანვე იტაცებდა მუსიკა და თეატრი. ოჯახის უმცროსი შვილები – დათიკო, ეფემია, მარიამი და მეზობელი ბავშვები წარმოდგენებს მართავდნენ. უფროსები კი ეხმარებოდნენ – უკერავდნენ კოსტიუმებს, აწყობდნენ სცენას და ასწავლიდნენ ტექსტებს. პირველად ბავშვებმა წარმოადგინეს აკაკი წერეთლის „ბუთიაობა“ და რუსული საბავშვო პიესა „**Стакан воды**“. ნიკო დადიანმა პატარა მსახიობები შეაქო და ურჩია: იმერული კილო გამოესწორებინათ – სცენიდან მხოლოდ კარგად გამართული ქართული უნდა ისმოდესო.

პატარა ფეფიკოს უფრო შეუყვარდა თეატრი, როდესაც უსმენდა და უყურებდა უფროს ძმასთან მოსულ მეგობარ მსახიობებს: ვასო აბაშიძეს, მაკო საფაროვას, კოტე ყიფიანს, ივანე მაჩაბელს. მოხიბლული იყო ნატო გაბუნიას სიმღერით, ალექსანდრე ყაზბეგის ჩონგურზე დაკვრით და ავქსენტი ცაგარელის ცეკვით – „კინტაური“.

1877 წელს მამის, სიმონ მესხის გარდაცვალების შემდეგ, მეოთხე კლასელი ეფემია, უფროსმა ძმამ სერგეიმ თბილისში წაიყვანა. იგი ამ დროს გაზეთ „დროების“ რედაქტორად მუშაობდა და სახლიც იქვე ჰქონდათ. აქ ეფემიამ პირველად ნახა სერგეის მეგობარი აკაკი წერეთელი, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთხელ სერგეიმ მას დავალება მისცა, გადაეთარგმნა ფრანგულიდან პარიზელი პატარა ბავშვის ამბავი „პეპი-სტრელი“, რომელმაც აკაკის და სერგეის მოწონება დაიმსახურა. ეფემია იხსენებს, რომ აკაკის შეუქცია და უთქვამს: „შენგან კარგი მწერალი ქალი დადგებაო“.

თბილისში ეფემიას სიმღერას ფილიმონ ქორიძე ასწავლიდა. მისმა ნიჭმა მასწავლებლის აღფრთოვანებაც კი გამოიწვია. გიმნაზიაში იგი წარჩინებულად სწავლობდა, თუმცა ანგარიშს ვერაფერი გაუგო, გამოცდაზე ჩაიჭრა და იძულებული გახდა გიმნაზია დაეტოვებინა. ამის შემდეგ, ეფემია უფროს ძმას – დათიკოს თეატრში ხშირად დაჰყავდა, სადაც მას ხიბლავდა ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვას მიერ შესრულებული როლები.

„დროების“ რედაქციაში ხშირად მოდიოდნენ სერგეის მეგობრები – მწერლები, პოეტები, პოლიტიკოსები. ეფემია ხშირად უსმენდა საუბრებს ქართული ენისა და თეატრის როლის შესახებ ეროვნული თვითშეგნების ფორმირებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. აქ პირველად გაიგო „სამშობლოს“ (დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული პიესა) მომავალი დადგმის შესახებ. ეფემიას ცხოვრებაში თეატრმა საოცნებო ადგილი დაიმკვიდრა. და აი, 1882 წლის 13 იანვარს, რედაქციაში კოტე მესხი მივიდა და ეფემია თეატრში წაიყვანა. გზაში აუსხნა, რომ მას მაკო საფაროვა-აბაშიძის ბენეფისში კორინთელის ქალის ნაცვლად უნდა ეთამაშა. ეფემია ღელავდა – იგი პირველად აღმოჩნდა სცენაზე, მაგრამ კოტე ყიფიანი აწყნარებდა: „აბა, ქალო, ყოჩაღად, არ შედრკე, ნუ გეშინია“.

ეფემია მესხის დებიუტი სცენაზე განსაკუთრებული აღმოჩნდა. მისი ნიჭიერებით ყველა მოიხიბლა. „**Какой чудный голос, какая замечательная дикция**“ – ეს იყო დავით ერისთავი. ლუიზას როლი ფრანგულიდან გადმოკეთებულ მელიოდრამაში „პარიზელი ბიჭი“

ეფემიასთვის ზედგამოჭრილი იყო. აქედან დაიწყო ეფემია მესხის სამსახიობო მოღვაწეობა. ამავე წელს კოტე ყიფიანთან ერთად ითამაშა: შვილის როლი (ვაკერის „ჟან-ბოდრი“), აკაკი წერეთლის „ბუტიანობაში“ და კიდევ ორ სპექტაკლში კომიკური როლი შეასრულა, მაგრამ გრძნობდა რომ ეს არ იყო მისი ამპლუა.

1885 წლიდან კოტე მესხის ხელმძღვანელობით ეფემია მესხი, ევგენია ჩხეიძე (ნინო ჩხეიძის დედა), ვლადიმერ მიქელაძე, ნ. ბადრიძე, მარიამ ჩხეიძე (ნინო ჩხეიძის უფროსი და), ც. ბალანჩივაძე, ს. გამრეკელი, გ. თუთბერიძე, ვაჩნაძის ქალი, ნაკაშიძე, დ. მესხი მუშაობდნენ ქუთაისის ქართულ დასში. კვირაში ორჯერ მართავდნენ წარმოდგენებს ხარაზიშვილის თეატრში, სადაც იდგმებოდა: კომედიები, დრამები, მელოდრამები, იშვიათად ისტორიული პიესები, აგრეთვე სუმბათაშვილის, ავქსენტი ცაგარელის, გიორგი ერისთავის მიერ ნათარგმი პიესები. საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ „ცივი თეატრი მუდამ სავსე იყო მაყურებლით“ – იხსენებს ეფემია მესხი.

ე. მესხის როლები გამოირჩეოდნენ შესრულების მაღალი კულტურით, გასასახიერებელი გმირის შინაგანი ბუნების ღრმა გააზრებით, ემოციურობით, დახვეწილი მეტყველებითა და პროფესიონალიზმით. 1886 წელს ქუთაისის თეატრის სცენაზე პირველად განასახიერა შუშანას სახე გ. სუნდუკიანის „პეპო“-ში, იმავე წელს დაიდგა ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, რომელიც კოტე მესხმა პარიზიდან ჩამოიტანა და კ. ბაქრაძეს ათარგმნინა. ეფემიამ ითამაშა მთავარ როლი – მარგარიტა გოტიე. წარმოდგენამ დიდი ტრიუმფით ჩაიარა, ხალხი აღტაცებული იყო ეფემიას შესრულებით და იგი სარა ბერნარსაც კი შეადარა. მის მიერ შექმნილი პატრიოტული სახეებიდან აღსანიშნავია: დედა (ი. ჭავჭავაძის „ქართლის დედა“), ტურფა, თამარი (აკ. წერეთლის „პატარა კახი“ და „თამარ ცბიერი“), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ქეთევანი (ალ. ყაზბეგის „ქეთევან ნამებული“), რომლებშიც მსახიობს ეროვნული სულისკვეთება მოჰქონდა და მაყურებელს ალაფრთოვანებდა.

1893 წელს ე. მესხი საგასტროლოდ თბილისში ჩამოდის. წარმოდგენილმა სახეებმა: გრაფინია ელეონორა (ფელიეს „დალილა“), მარგარიტა (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“) და დედოფალი („ლანგ-თემური“, გადმოკ. კ. მესხის მიერ) მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და პრესა ქართულ თეატრს ნიჭიერი მსახიობის გამოჩენას ულოცავდა. განსაკუთრებით აღინიშნა ახალგაზრდა მსახიობის ოსტატობა, პლასტიკა და მეტყველების კულტურა.

1894 წლიდან იგი მუშაობას თბილისში განაგრძობს, სადაც განასახიერა: დენიზა (ალ. დიუმას „დენიზა“), სოფიო (ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), ნინო (მ. ლერმონტოვის „მასკარადი“), მაღამ სან-ჟენი (ვ. სარდუს, ა. მოროს „მაღამ სან-ჟენი“). ამათგან მაღამ სან-ჟენი ეფემია მესხის საუკეთესო როლთაგანი იყო და მაყურებლის დიდი მოწონება და პრესის გამომხმაურებაც დაიმსახურა.

1898 წელს ეფემიას საბენეფისოდ დაიდგა ო. სკრიბის, ე. ლეგუვეს „ადრიანა ლეკუ-ვრერი“, სადაც მან მთავარი როლი შეასრულა, რომლის შესახებაც გაზეთი „კვალი“ (1898, №5) წერდა: „ეფემია მესხის ასული ამჟამად არტისტ ქალთა შორის უპირველესია...“ ამავე წელს ეფემია მესხი გათხოვდა და ბაქოში გაემგზავრა. მისი მეუღლე ივანე გეპნერი ბაქოს გიმნაზიის მასწავლებელი იყო. მსახიობმა აქ არსებულ ქართული სცენისმოყვარულთა წრეს ახალი სიციცხლე შთაბერა და კვირაში ერთხელ წარმოდგენებს მართავდა, რომლებშიც იმდროისათვის ცნობილი თითქმის ყველა ქართველი თეატრალური მოღვაწე მონაწილეობდა. ამავე დასის წევრი და რეჟისორიც იყო ეფემიას დისშვილი – ნინო გამრეკელი, პირველი ქართველი რეჟისორი ქალი. აქ მან განასახიერა: მარინე (ვ. გუნიას „და-ძმა“), საინტერესო აღმოჩნდა ეფემიას მიერ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატში“ ზეინაზის როლი, სადაც სულეიმანის როლში მას პარტნიორობას ლადო ალექსი-მესხიშვილი უწევდა.

ეფემია მესხი თავდაუზოგავად ემსახურა ქართული თეატრს. მის მიერ მაღალმხატვრულად განსახიერებულ როლებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ბაქოს ქართულ თეატრებში შემოჰქონდათ ეროვნული სულისკვეთება, რომელიც ამკვიდრებდა აქტიორული შესრულების რეალისტურ სტილს და ზრდიდა თეატრის საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

1905 წელს ქუთაისში არეულობა და რევოლუციური განწყობა სუფევდა. ვლ. ალექსი-მესხიშვილის თხოვნით, იგი ერთი თვე სპექტაკლებში მონაწილეობდა და სხვა მსახიობებთან ერთად ბარიკადებზე იცავდა ქართული თეატრის ეროვნულ-განმანათლებლებელ სულისკვეთებას. ამავე პერიოდში იგი მოსკოვში, თავის დასთან გაემგზავრა, სადაც ეფემიამ სამხატვრო, მცირე და დიდი თეატრების სპექტაკლების ნახვით პროფესიული საზრდო მიიღო. ამის შემდეგ, ეფემია დაბრუნდა ბაქოს ქართულ თეატრში სამუშაოდ, თუმცა ხშირად ჩამოდიოდა თბილისს.

1908 წელს ეფემია მესხი ოჯახთან ერთად თბილისში გადმოსახლდა და ექვსი წლის განმავლობაში ზუბალაშვილების სახალხო სახლში მუშაობდა. მომდევნო პერიოდში მი-

ინვიეს თბილისის დრამატულ თეატრში, რომლის დანვის შემდეგ, მოღვაწეობდა ქუთაისისა და ბათუმის თეატრებში.

1913-14 წლის სეზონში ბათუმის თეატრში ითამაშა შალვა დადიანის რეჟისორობით განხორციელებულ სპექტაკლებში: მედეა (ა. სუვორინის, ვ. ბურენინის „მედეა“), მადამ სან-ჟენი (ვ. სარდუს, ა. მოროს „მადამ სან-ჟენი“), ბეატრიჩე (ო. უაილდის „პადუის დედოფალი“).

1917 წლიდან ეფემია მესხი ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში. 1922 წელს მას სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს და ერთ-ერთ პირველთაგანს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. მსახიობის იუბილე აღინიშნა თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ჭიათურაში.

ქართული თეატრის სცენაზე ეფემია მესხმა 50 წელი იღვანა, რომელიც დავით მესხმა ასე შეაფასა: „კოტემ და ფეფიკომ ქართული თეატრის ეპოქა შექმნეს, ეპოქა მომხიბლავი თამაშისა, რაც მანამდის ქართულ სცენას არ ენახა. ფეფიკომდე და არც მის შემდეგ უკეთესი ზეინაბის ამსრულებელი არ უხილავს ჩვენს სცენას. ქართულ თეატრში არც ადრე და არც შემდეგ სცენიდან არ მსმენია მე ასეთი ტკბილი, მომაჯადოებელი ხმა, როგორც ფეფიკოს ჰქონდა“.

1941 წელს ღრმად მოხუცი ეფემია მესხი თბილისში გარდაიცვალა.

ეფემია მესხის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ქუთაისის თეატრის ანტეპრენიორის ვლადიმირ ალექსი-მესხიშვილის წერილი ეფემია მესხისადმი. აღშფოთებულია ფეფიკოს (ეფემია მესხის) საშინელი რეპერტუარით და სთავაზობს ახალს („მედეა“, „უბრალოდ დასჯილნი“, „დენიზა“, „ტრილბი“). საბენეფისოდ აძლევს არჩევანის უფლებას. უთანხმებს დროს და პირობებს.

1902 წ. 28. 09. ქუთაისი. ასლი. დამონებული დედანთან კ. ბახტაძის მიერ. ნაბეჭდი. 1 ფ.

2. ბათუმის გამგეობის ქართული დრამატული საზოგადოების თავჯდომარის წერილი ეფემია მესხისადმი. იუნყება, რომ ყველა პირობა გარდა ანაზღაურებისა, წარმოდგენის გასამართად გამგეობის მიერ იქნება დაკმაყოფილებული, ურჩევს დათანხმდეს და ბათუმში ჩამოვიდეს.

1913 წ. ბათუმი. ხელნაწერი. შავი მელანი. ხელმოწერა, სავარაუდოდ, ივანე მესხის. 2 ფ.

3. ბათუმის გამგეობის ქართული დრამატული საზოგადოების თავჯდომარის წერილი ეფემია მესხისადმი. სწერს, რომ მისმა თანხმობამ (სპექტაკლში მონაწილეობის მიღება) ფრიად გაახარა; იმედოვნებს, რომ სეზონი ჩაივლის წარმატებით.

პირი: ივანე მიხაილოვი [ეფემია მესხის მეუღლე].

1913 წ. 19. 07. ბათუმი. ხელნაწერი. სავარაუდოდ, ივანე მესხის ხელმოწერით. შავი მელანი. 2 ფ.

4. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი ეფემია მესხისადმი. მოახსენებს, რომ მაკო საფაროვა-აბაშიძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გამო, სათავადაზნაურო თეატრში ჩატარდება ღონისძიება. მაკო საფაროვა-აბაშიძის შესახებ რეფერატს წაიკითხავენ აკაკი წერეთელი და გრიგოლ დიასამიძე.

უთარილო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე ნ. ქართველოვი (ხელმოწერა არ იკითხება). კომიტეტის წევრები: ანასტასია მაჩაბელი, პ. თუმანიშვილი. 1 ფ.

5. სახელმწიფო დრამის თეატრის კომისიის წერილი სახალხო კომისარიატისადმი. ეფემია მესხის პენსიის დანიშვნის შუამდგომლობის შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

6. საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წერილი ეფემია მესხის საიუბილეო კომიტეტისადმი. საქართველოს ცენტრალური და ბათუმის განყოფილებები იზიარებენ თეატრის დიდ ზეიმს და ეფემია მესხს ღრმა პატივისცემის ნიშნად უგზავნიან ხუთ მილიონ მანეთს.

1922 წ. ბათუმი. ხელს აწერენ: საქართველოს კოოპერატიული კავშირის ბათუმის განყოფილების მდივანი და საქართველოს კოოპერატიული ბანკის ბათუმის განყოფილების მდივანი (გვარები გაურკვეველია). ნაბეჭდი. 1 ფ.

7. საიუბილეო კომისიის წერილი ეფემია მესხისადმი. შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით სთხოვს მიანოდოს მისი აზრი. ატყობინებს, რომ საღამო გაიმართება 1923 წლის 3 თებერვალს რუსთაველის თეატრში.

1923 წ. თბილისი. ხელს აწერს საიუბილეო კომისიის თავჯდომარე (გვარი არ იკითხება) და მდივანი – შ. აფხაიძე. აქვს მინაწერი: „წერილი უნდა გამომიგზავნო 10-მდე“. ნაბეჭდი. 1 ფ.

8. თეატრალური დასის წერილი ხელოვნების განყოფილებისადმი, სადაც აღნიშნულია ეფემია მესხის დამსახურება ქართული თეატრის წინაშე. წერილის ავტორები გამოთქვამენ წუხილს, მსახიობის უყურადღებოდ დატოვების გამო, მთავრობას სთხოვენ ეფემია მესხს მიენიჭოს სახალხო მსახიობის წოდება.

[1927 წ.]. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ფ.

9. ეფემია მესხის განცხადება სრულიად საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარის ფილიპე მახარაძისადმი პენსიის გადიდებასთან დაკავშირებით.

1931 წ. თბილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. შავი მელანი. 1 ფ.

10. ეფემია მესხის წერილი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრისადმი. ულოცავს ათი წლის თავისუფლებას, გამოხატავს სიყვარულს და პატივისცემას დასისადმი, რომლის წევრებიც აგრძელებენ კოტე მარჯანიშვილის სიყვარულით დაწყებულ საქმეს.

[1933 წ.]. თბილისი. ხელნაწერი. ავტორისეული ჩასწორებებით და ხელმოწერით. ლურჯი და მწვანე მელანი. 1 ფ.

11. ეფემია მესხის წერილი. აღნიშნავს 40 წლის მოღვაწეობას ქართულ სცენაზე.

1934 წ. თბილისი. ხელნაწერი. წერილს ადასტურებენ – ე. ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცი-რიძე. მაკო საფაროვა-აბაშიძე. საბუთს ამტკიცებს საქ. მ. მ. – პ. ჩოჩიევი. ე. მესხის ხელ-მოწერით. ლურჯი და მწვანე მელანი. 1 ფ.

12. ეფემია მესხის განცხადება ხელოვნების მუშაკთა გამგეობის სახელზე. გამოთქ-ვამს იმედს, რომ მისი თეატრში 50 წლიანი მოღვაწეობის საფუძველზე მიექცევა სათანადო ყურადღება და მიენიჭება საპატიო წოდება.

პირი: მ. საფაროვა-აბაშიძე, აკაკი წერეთელი, კოტე მესხი, ევ. ჩხეიძე, ნ. ჩხეიძე, მ. ჩხე-იძე, მიქელაძე, მ. მესხი, ნატ. მესხი, ნატ. ჯავახიშვილი, ა. იმედაშვილი, შალვა დადიანი, ი. ზარდალიშვილი. კ. მარჯანიშვილი, ს. გამრეკელი, ალ. ჯაფარიძე-ივერიელი, ქ. ან-დრონიკაშვილი, ნ. გამრეკელი-თორელი, შველიძე, ნადირაძე, ნუცა ჩხეიძე. დაზიანებუ-ლი (წერილის მარჯვენა კუთხე განადგურებულია).

1934 წ. 14. 03. თბილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. ლურჯი მელანი. 1 ფ.

13. ამონაწერი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან 22/62. დადგენილება ეფემია მესხისთვის დამსახურებული მსახიობის წო-დების მინიჭების შესახებ.

1934 წ. 28. 10. თბილისი. ხელს აწერს სხდომის მდივანი – პ. ჩოჩიევი. ადევს რეზოლუცია გაურკვეველი ხელმოწერით. ნაბეჭდი. 1 ფ.

14. ეფემია მესხის წერილი ქუთაისის სახელმწიფო თეატრისადმი. გამოთქვამს წუხ-ილს, რადგანაც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება ქუთაისის თეატრის 60 წლის იუბილეს. დასის წევრებს უსურვებს ჯამრთელობას, ხანგრძლივ მუშაობას ძვირფასი ბელადის, სტალინის ეპოქის დროს.

[1940 წ.]. თბილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. ფანქრით ჩასწორებული. მწვანე და ლურ-ჯი მელანი. 1 ფ.

15. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოწმობა. ეფემია მესხის დაკრძალვასთან დაკავშირებით ი. ნანეიშვილს ევალება საორგანიზაციო საქმე.

1941 წ. თბილისი. სამმართველოს მოადგილის – კ. კანდელაკის ხელმოწერით. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 ფ.

16. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება 167. ეფემია მესხის გარდაცვა-ლების გამო გამოიყოს დამკრძალავი კომისია შემადგენლობით: შ. ლამბშიძე – თავჯდომარე, პ. კანდელაკი – მოადგილე, წევრები – აკ. ვასაძე, აკ. ხორავა, ალ. ნუნუნავა, ტ. დავითაშ-ვილი. ლ. ჯანელიძე – მდივანი, ალ. თაყაიშვილი.

1941 წ. თბილისი. ასლი, დამონებული დედანთან. ხელმოწერა არ იკითხება (ერთვის მინაწერი – „ალ. ნუნუნავა“). ნაბეჭდი. 1 ფ.

17. ეფემია მესხის წერილი კომიტეტისადმი (?). მოახსენებს, რომ მთავარ როლებს ითამაშებს რვა პიესაში: „Сумашедшие от любви“, „Адреанна Лекуврер“, „Руставели“, „Два подростка“, „Макбет“, „Дениза“.

უთარილო. თბილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. რუსულ ენაზე – Еф. Месхи-Гепнер. წი-თელი მალანი. 1 ფ.

მოპონებაები

18. ეფემია მესხი, მოგონებები ცხოვრებისა და ქართულ თეატრში მოღვაწეობის შეს-ახებ.

1936 წ. თბილისი. ავტოგრაფი. ეფემია მესხის ხელმოწერით. რვეული ამოცვენილია შუა ფურცლები. მუყაოს ყავისფერი ყდა. 82 ფ.

18ა). ეფემია მესხის მოგონება ლადო მესხიშვილზე.
1037 წ. 07.03. თბილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. მელანი. 2 ფ.

პანისტორიული მემკვიდრეობა

19. ნუცა ჩხეიძის წერილი ეფემია მესხისადმი. მოიკითხავს მას და ივანე მიხაილოვს, სწერს კოტე მარჯანიშვილის სცენაზე თამაშის და საფაროვის ქალის მიერ შესრულებულ ქეთევანის როლის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხვალ მაკო საფაროვას ბენეფისია.

პირი: ნინუცა და ვარო (?), კოტე ყიფიანი.
[1894 წ.]. ავტოგრაფი. ხელნაწერით. შავი მელანი. 2 ფ.

20. კოტე მესხის წერილი ეფემია მესხისადმი. სთხოვს, სასწრაფოდ ჩამოვიდეს ვანია-სთან [გეპნერი] და ნუცა ჩხეიძესთან ერთად, რათა მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენებში „მადამ სან-ჟენ“, „პირველი ბუზი“, „ადრიენა ლეკუვრერ“ და სხვა; უთახმებს დროს და პირობებს.

პირი: გროზდოვი, ვალიკო [გუნია], მესხივეი, ავალოვის ცოლი.
1896 წ. 14 თებერვალი. ტფილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. შავი მელანი. 2 ფ.

21. ნუცა ჩხეიძის წერილი ეფემია მესხისადმი. მოიკითხავს მას და ვანიას [გეპნერი]. საუბარია მესხივეის ბენეფისზე – სპექტაკლ „Кручина“-სა და კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლ „პატარა კახის“ შესახებ.

პირი: კოტე მესხი, მარო წერეთელი, ნატო ჩხეიძე, პატარა ვანია, დათიკო მესხი, რომელ-მაც ახალი ვოდვეილი „ოთხი იმერელი“ დაწერა და აპირებს მის დადგმას, სადაც ითამაშებენ თვითონ, ბალანჩივაძე, პიპინია მიქაძე და აბესაძე.
[1896 წ.] ტფილისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 ფ.

22. კოტე მესხის წერილი ეფემია მესხისადმი. სთხოვს ჩამოვიდეს საბენეფისოდ, ფინანსური საკითხი უკვე შეუთანხმდა ვასო სულხანიშვილს და პეტრე ყიფიანს (კომიტეტის წარმომადგენლებს), ატყობინებს, რომ უნდა ითამაშოს ტრილბის როლი პიესაში „ტრილბი“ და საბენეფისოდ აირჩიოს კარგი პიესა სიყვარულზე.

1898 წ. 03.11. ტფილისი. ხელნაწერი. ავტორისეული ხელმოწერით. დაწერილია ვ. გუნია-სა და კოტე მესხის იჯარით აღებულ სათავადაზნაურო თეატრის ბლანკზე. შავი მელანი. წერილი დაზიანებულია. 1 ფ.

22. ვალერიან გუნიას წერილი ეფემია მესხისადმი. დრამატული საზოგადოების გამგეობის სახელით სთხოვს ჩამოვიდეს თბილისში, ვინაიდან საგანგებოდ მისთვის გაიმართება წარმოდგენები: „დენიზა“, ვ. გუნიას „ციხის საიდუმლოს“ პიესის მიხედვით. უთანხმებს დროს და პირობებს.

პირი: კოტე მესხი, ვანიჩკა (?)
1900 წ. 25.12. ტფილისი. ავტოგრაფი. ვ. გუნიას ხელმოწერით. შავი მელანი. 2 ფ.

23. ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის წერილი ეფემია მესხს სთხოვს, ჩამოვიდეს ქუთაისში მთელი სეზონით ან გასტროლებზე. ელოდება პასუხს და დასტურის შემთხვევაში უთანხმებს დროს და პირობებს.

1902 წ. 24. 07. ქუთაისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. შავი მელანი. 1 ფ.

23 ა). ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის წერილი ეფემია მესხისადმი, ქუთაისში საგასტროლო რეპერტუარის შესახებ.

1902 წ. 28. 09. ავტოგრაფი. ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ხელმოწერით. ბლანკი, ახლავს საქართველოს სათეატრო მუზეუმის ორი ბეჭედი. დაზიანებული. 2 ფ.

24. ალ. თუთაძის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი. უხდის ბოდიშს, რადგან მისი ნებართვის გარეშე უძღვნა მას პატარა თხზულება.

1911 წ. 23.07. ტფილისი. ხელნაწერი. ხელმოწერით. წერილი დაზიანებულია. შავი მელანი. 1 ფ.

25. კოტე მესხის წერილი ეფემია მესხისადმი. აუწყებს, რომ 29 ნოემბერს წილად ხვდა ბენეფისი – „მადამ სან-ჟენ“ და სთხოვს ისწავლოს როლი და სასწრაფოდ ჩამოვიდეს, ჩამოუსვლელიობის შემთხვევაში როლი შეხვდება საფაროვის ქალს.

პირი: პეტრე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე, მესხივეი, ეგვენია.
[1913 წ.]. ტფილისი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. შავი მელანი. 2 ფ.

26. საშა გუგუშვილის მისალოცი წერილი ეფემია მესხისადმი. გამოთქვამს წუხილს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ეფემია მესხის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს. უსურვებს ჯამრთელობას და მრავალჟამიერს.

1922 წ. 23.12. ბათუმი. ხელნაწერი. ავტორისეული ხელმოწერით. ლურჯი მელანი. 1 ფ.

27. პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: თინა გამრეკელი (?), ნინო გამრეკელი, ბაბუცა გამრეკელი, დათიკო მესხი.

1924 წ. 01. 08. ქუთაისი. ავტოგრაფი. ხელმოწერა არ იკითხება, სავარაუდოდ, ანა მესხი. ფანქარი. 2 ფ.

28. ნანიკოს (ეფემიას დის – მარიამ მესხის შვილი) პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: კაკო (კონსტანტინე მესხი), ნატო [მესხი], ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი, ივანე მესხი, ქეთო (ივანეს შვილი), სერგეი მესხი, დათიკო მესხი, ქორიძე.

1925 წ. 14.10. [მოსკოვი]. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 ფ.

29. ეფემია მესხის წერილი მაკო საფაროვასადმი. გამოხატავს მისდამი უზომო სიყვარულს. იხსენებს სცენაზე პირველად გამოსვლას. ულოცავს დიდ დღეს მის ცხოვრებაში (სავარაუდოდ, სახალხო არტისტის წოდების მიღებას) და აღნიშნავს, რომ მაკო საფაროვას მნიშვნელოვანი სამსახური სცენაზე ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი ქართული თეატრის ისტორიაში.

1925 წ. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ფ.

30. ქეთევან მესხის წერილი ეფემია მესხისადმი. სწერს პირად ამბებს და ატყობინებს ნულუკიძის ქვრივის ელისაბედის გარდაცვალების შესახებ და სწერს ბაბუცა გამრეკელის და ბორიას (?) დასიდან წასვლის შესახებ.

პირი: თაყაიშვილი, ნინო გამრეკელი, ედოკია, ნატო მესხი (?), დათიკო მესხი.

1929 წ. 17. 08. ტფილისი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 2 ფ.

31. მიხეილ ჩერკასოვის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: შვილები – ვერა, ალექსანდრე და ალექსეი.

1930 წ. მაიკოპი. ხელნაწერი. თავნაკლული. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

32. მიხეილ ჩერკასოვის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი. წერს თავისი ოჯახის შესახებ.

პირი: ვანია გეპნერი.

1931 წ. 05.11. მაიკოპი. ავტოგრაფი. ბოლონაკლული. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 ბარათი. 2 ფ. 1 კ.

33. მიხეილ ჩერკასოვის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი. ატყობინებს მისი ავადმყოფობის შესახებ და უხდის ბოდიშს პასუხის დაგვიანებისათვის.

1931 წ. 09.12. მაიკოპი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. 1 ბარათი. 1 კ.

34. ვაროს (?) პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი. გამოთქვამს წუხილს, რომ პირადად ვერ გაიზიარა მისი მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული მდგომარეობა.

[1931 წ.] მოსკოვი (?). ავტოგრაფი. ხელმოწერით. ლურჯი მელანი. 1 ფ.

35. უცნობი პირის წერილი ეფემია მესხისადმი. უთვლის სამძიმარს ეფემია მესხის მეუღლის – ივანე მიხაილოვის გარდაცვალების გამო.

პირი: ბაბუცა გამრეკელი.

1931 წ. ლენინგრადი. ხელნაწერი. ხელმოწერა არ იკითხება. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

36. მიხეილ ჩერკასოვის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: ივანე გეპნერი, შვილები – კატია, ალექსანდრე, ალექსეი და ვერა, კაკო გამრეკელი, ნინა გამრეკელი, გოგი გამრეკელი, მარიამ მესხი-გამრეკელი.

1932 წ. 31.01. მაიკოპი. ავტოგრაფი. ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 4 ფ.

37. მიხეილ ჩერკასოვის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: გოგი გამრეკელი, მარიამ მესხი-გამრეკელი, ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი, კატია, ვერა, ალექსანდრე და ალექსი, ჩერკასოვის შვილები, ირინა – ივანე გეპნერის შვილი.

1932 წ. 23. 03. მაიკოპი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 4 ფ.

38. მერი ანჯაფარიძე-დანელიას წერილი ეფემია მესხისადმი. მოახსენებს, რომ დაესწრო კოონენის შესრულებით სპექტაკლს „ადრიანა ლეკუერერი“, დიდი მონონება დაიმსახურა სიკო ფალავანდიშვილის ფილმმა „Приданное Жужуны“, რომელშიც ვერიკო ანჯაფარიძემ მიიღო მონაწილეობა.

პირი: გია (გიორგი დანელია), ლიზა (ანჯაფარიძე), დათიკო [მესხი].

1934 წ. 21.12. მოსკოვი. ხელნაწერი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.

39. მერი ანჯაფარიძე-დანელიას პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: ლიზა ანჯაფარიძე (?), თამარი, ევგ. იპოლიტ. (?), სერგეი მესხი, ნანიკო მესხი (?), ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი.

1935 წ. 23. 02. მოსკოვი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.

40. მერი ანჯაფარიძე-დანელიას პირადი ხასიათის წერილი.

პირი: ვერა, ნინო, ნანიკო, ნატაშა, ქეთო, ლიზა [ანჯაფარიძე].

1935 წ. 16.03. ავტოგრაფი. ხელმოწერით. ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

41. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი, სავარაუდოდ, ეფემია მესხისადმი.

პირი: სერგეი.

1939 წ. 12.10. მოსკოვი. ხელნაწერი. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 3 ფ.

42. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი. ნახსენებია ნუცა ჩხეიძის ბენეფისი.

პირი: ნინო მესხი (?), კოტე მესხი, ჩიკვაიძე, საშა [გუგუშვილი], ვანია [გეპნერი], კონია (კონსტანტინე მესხი), ნუცა ჩხეიძე, ლიზა, ვალია, სალომე კერესელიძე.

უთარილო [ქუთაისი]. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 3 ფ.

43. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი.

პირი: ანიჩკა [მესხი], ნუცა, ჟურული, ოლინკა, ნანიკო, ივანე [მესხი], კოტე [მესხი], დათიკო [მესხი], კოლია.

უთარილო ხელნაწერი. ბოლონაკლული. შავი მელანი. 2 ფ.

44. ივანე მესხის პირადი ხასიათის წერილი ეფემია მესხისადმი. ატყობინებს ლუკა გაბუნას (აკაკის (?) შვილის) გარდაცვალების შესახებ.

პირი: კოტე მესხი, ნ. ჩხეიძე.

უთარილო. ხელნაწერი. 2 ფ.

45. ტასიკოს (ტასო აბაშიძე) ნაწილობრივ პირადი ხასიათის წერილი ნატოსა და ფეფიკოსადმი. უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს თბილისში გატარებულ დღეებთან დაკავშირებით. უამბობს ქუთაისის ახალ ამბებს. ახსენებს კოტე მესხს, ასევე ვერიჩკა აბულაძეს, რომელიც ცოლად მიჰყვება იური ბაქრაძეს.

პირი: გიორგი ზდანევიჩი, კოტე ყიფიანი.

უთარილო. ქუთაისი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 2 ფ.

დავალება

46. ქართველოვის [ქართველიშვილი] დეპეშა ეფემია მესხისადმი. სთხოვს, შეატყობინოს შეუძლია თუ არა მიიღოს მონაწილეობა წარმოდგენაში „ლალატი“. დეპეშას ერთვის მინაწერი: „Грузинский театр. Картвелову. Только в „Измене“ не могу. Хотите приеду на три спектакля. Зейнаб два новых костюма. Условия старые. Сообщите во время“. Ефимия.

1893 წ. 26.12. ბაქო. ნაბეჭდი. დაზიანებული. დაწერილია ქალაქდზე, რომელსაც ახლავს ორთავიანი არწივის გამოსახულება. რუსულ ენაზე. 1 ფ.

47. ნინო და შალვა დადიანების იუბილესთან დაკავშირებით, მისალოცი დეპეშა ეფემია მესხისადმი.

1902 წ. 07.04. ბაქო. დაბეჭდილი. დაწერილია ქალაქდზე, რომელსაც ახლავს ორთავიანი

არნივის გამოსახულება. ძლიერ დაზიანებული, დაკარგულია ფურცლის ნაწილი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

40 წლის მოღვაწეობის იუბილესთან დაკავშირებული დეკრეტები ეფემია მესხისადმი

48. კოტე მარჯანიშვილის მისალოცი დეკრეტია. „შენი იუბილეს დღეს უნებლიედ მაგონდება წმინდა სიხარული ჩემი პირველი ნაბიჯისა სცენაზე, რომელიც მოხდა შენი და კოტეს ხელმძღვანელობით. გულით გისურვებ ხანგრძლივ სიძლიერეს შენი ნიჭისა. გულწფელად მსურს შენთან საერთო მუშაობა. ღრმად შენუხებული ვარ, ახალი დადგმის სასწრაფო სამზადისი ნებას არ მაძლევს პირადად გადაგეხვიო. სულით და გულით გეამბორები. შენი კოტე მარჯანიშვილი.“

1922 წ. თბილისი. ნაბეჭდი. საგანგებო ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

49. დათიკო ჩხეიძის მისალოცი დეკრეტია.

1922 წ. თბილისი. ნაბეჭდი. საგანგებო ბლანკი. ბლანკზე ერთვის გ. კაპალნიძის ხელმონერა. რუსულ ენაზე. 1 ფ.

50. ლოლი მარჯანოვასა და ვალია კრუზოს მისალოცი დეკრეტია.

1922 წ. თბილისი. ნაბეჭდი. საგანგებო ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

51. ქუთაისის ქართული დასის მისალოცი დეკრეტია თბილისის რუსთაველის თეატრის საიუბილეო კომიტეტისადმი.

1922 წ. ქუთაისი. ნაბეჭდი. საგანგებო ბლანკი. ერთვის მილოცვის იმავე ტექსტის ხელნაწერი ვარიანტი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

52. ჭიათურის თეატრის კომიტეტის მისალოცი დეკრეტია.

1922 წ. ჭიათურა. ხელნაწერი. მეორადად გამოყენებული. დაზიანებული. 1 ფ.

53. თბილისის ქართული დასის მისალოცი დეკრეტია.

1922 წ. თბილისი. ნაბეჭდი. საგანგებო ბლანკი. დეკრეტს ერთვის გ. კაპალნიძის ხელმონერა. რუსულ ენაზე. 1 ფ.

54. მსახიობ ნემოს (?) მისალოცი დეკრეტია. თბილისის რუსთაველის თეატრის სახელით ულოცავს ეფემია მესხს 40 წლის მოღვაწეობის იუბილეს.

1922 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ერთვის მილოცვის იმავე ტექსტის ხელნაწერი ვარიანტი. დეკრეტია შესრულებულია მეორად ქაღალდზე. რუსულ ენაზე. 1 ფ.

55. ივანე პურადაშვილის მისალოცი დეკრეტია.

1922 წ. ხელნაწერი შესრულებულია მეორად ქაღალდზე. 1 ფ.

56. სომხური დრამატული თეატრის კოლექტივის მიმართვა ბათუმის (ეფემიას მესხისადმი მიძღვნილ) საიუბილეო კომისიის მდივანისადმი.

1922 წ. ხელნაწერი. საფოსტო ბლანკი. 1 ფ.

ლექსები

57. ასოთამწყობის – დ. ლოლობერიძის მილოცვა და ლექსი მიძღვნილი ეფემია მესხისადმი, ქართულ სცენაზე მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 27.05. თბილისი. ხელნაწერი. ერთვის მინანური რ. ლოლობერიძის ხელმონერით. შავი მელანი. ძლიერ დაზიანებული. 2 ფ.

58. ჭიათურის II მთლიან შრომითი სკოლის IV კლასის მოსწავლის თინა ლოლაძის მილოცვა და ლექსი – „მისალმება“ ეფემია მესხისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. ჭიათურა. ხელნაწერი. თ. ლოლაძის ხელმონერით. ლურჯი მელანი. 2 ფ.

59. თბილისის ქალთა VI გიმნაზიის II კლასის მოწაფის – ლენა ლოლაძის ლექსი-მილოცვა ეფემია მესხისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. ჭიათურა. ხელნაწერი. ლენა ლოლაძის ხელმონერით. 1 ფ.

60. ც. ბარათაშვილის მისალოცი ლექსი ეფემია მესხისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. ჭიათურა. ავტოგრაფი. ც. ბარათაშვილის ხელმოწერით. ფანქარი. 1 ფ.

61. იოსებ გრიშაშვილს მისალოცი ლექსი ეფემია მესხისადმი.

უთარილო. ავტოგრაფი. იოსებ გრიშაშვილის ხელმოწერით. შავი კალამი ჩასწორებული ნითლად. 1 ფ.

62. თ. ქავთარაძის მიერ დაწერილი ლექსი, მიძღვნილი ფეფიკო (ეფემია) მესხისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. ხელნაწერი. თ. ქავთარაძის ხელმოწერით. 1 ფ.

63. განდევგის (დომინიკა ერისთავის) და ეფემია მესხის გაბაასება ლექსის სახით.

უთარილო. ეფემია მესხის ავტოგრაფი. ხელნაწერი. დაწერილია 2 სვეტად. 2 ფ.

64. IV კლასის მოსწავლის მ. წერეთლის მისალოცი ლექსი ეფემია მესხისადმი.

1923 წ. ჭიათურა. ავტოგრაფი. ხელმოწერით. დაზიანებული. 1 ფ.

პროგრამები

65. ქუთაისის ქართული დრამატული დასის პროგრამა ეფემია მესხის საბენეფისოდ. დრამა „ადრიანა ლეკუზერე“, ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით. ეფემია მესხის და კოტე მესხის მონაწილეობით.

1902 წ. 22. 12. ქუთაისი. დაზიანებული. დასტამბული. 1 ფ.

66. ა. ცაგარელის 3 მოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს ველარ ნახავ“ მიხეილ ჭიაურელის, ალექსანდრე იმედაშვილის, ნიკო გოცირიძის, იოსებ ზურაბიშვილის მონაწილეობით. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის „სახალხო სახლის“ დასის მიერ წარმოდგენილი 1 მოქმედებიანი დრამა „მადაროს უფროსი მუშა“. ეფემია მესხის და ალექსანდრე იმედაშვილის მონაწილეობით. რეჟისორი ა. წუნუნავა.

1912 წ. თბილისი. დასტამბულ. 1 ფ.

67. ბათუმის ქართული დრამატული საზოგადოების პროგრამა. რეჟისორი შალვა დადიანი. სპექტაკლი „მედეა“, 5 მოქმედებიანი ტრაგედია და „საუბედურო დებიუტი“ 1 მოქმედებიანი სპექტაკლი.

1913 წ. 09. 09. ბათუმი. დასტამბული. 1 ფ.

68. ბათუმის ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ ქართულ სცენაზე პირველად წარმოდგენილი მწერლის ოსკარ უაილდის „პადუის დედოფალის“ პროგრამა. ეფემია მესხი ბიატრიჩეს როლში, რეჟისორი შალვა დადიანი.

1914 წ. 11. 01. ბათუმი. დასტამბული. 1 ფ.

69. ბათუმის ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი ისტორიული პიესა „მადამ სან-ჟენის“ პროგრამა. კოტე მესხის და ეფემია მესხის მონაწილეობით. რეჟისორი შალვა დადიანი.

1914 წ. 25. 01. ბათუმი. დასტამბული. 2 ფ.

სხვადასხვა

70. ილია ხონელის სტატია მიძღვნილი ეფემია მესხისადმი. მკითხველს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს ეფემია მესხის მიერ შესრულებული როლების შესახებ პიესებში „ქალი კამელიებით“, „ლანგ-თემური“ და „დალილა“.

პირი: სავინა.

1893 წ. თბილისი. ავტოგრაფი. ილია ხონელის ხელმოწერით. ძლიერ დაზიანებული. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

71. აკაკი წერეთლის ლექსი „მაინც ჩვენია“, გადწერილი ეფემია მესხის მიერ. აქვს მინაწერი „ცნობა: დაწერილია ეფემია მესხის ხელით. ვისზე დაწერა, არ იცის, ვერ მოიგონა. კოტე მესხი“.

1897 წ. 12 ივლისი. ბორჯომი. ხელნაწერი. დაზიანებული. 1 ფ.

72. ადრესი ეფემია მესხისადმი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალური განყოფილების დრამატული სექციისაგან.

1910 წ. 09.11. ბაქო. დასტამბული. ახლავს ყდა წარწერით: „ეფემია მესხის საარქივო მასალები“. ხელს აწერენ: კ. მარჯანიშვილი, დარაშვილი, ახოზაძე, ვ. შხელიძე, ვლ. ამა-შუკელი, გ. ყიფიანი, სიკო ბრეგვაძე, დათიკო თევდორაშვილი, ნ. ჩაგუნავა, ე. თალაკვაძე, ფ. ნადირაძე, ანიკო ნადირაძე, ივერიელი [ალ. ჯაფარიძე], ლ. თედეშვილი, გოგიბერიძე. მასალა: ტყავგადაკრული მუყაო. ძლიერ დაზიანებული. 2 ფ.

73. საიუბილეო კომისიის მოწოდება ეფემია მესხის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს აღნიშნვასთან დაკავშირებით, დაგეგმილ ღონისძიებაში ფართო საზოგადოების მონაწილეობის შესახებ.

1922 წ. თბილისი. დასტამბული. 1 ფ.

74. ნუცა ჩხეიძის სტატია „ეფემია მესხი“ (დაბადებიდან 100 წლისთავი).

1962 წ. თბილისი. ამონარიდი ჟურნალიდან „საქართველოს ქალი“, №7. დასტამბული. 1 ფ.

75. ეფემია მესხის მიერ დაწერილი კოტე მესხის ბიოგრაფია.

უთარილო. თბილისი. ხელნაწერი. ავტორისეული ჩასწორებით. ლურჯი და მწვანე მელანი. 2 ფ.

76. ღია ბარათი ეფემია მესხის გამოსახულებით.

უთარილო. თბილისი. დასტამბული. 1 ფ.

77. ამონაწერი ეფემია მესხის მოგონებებიდან.

უთარილო. ნაწერი კალიგრაფიული ხელით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.